შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.809)
9 – 16 დეკემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

ეს უბედურება სილის გალაწუნებად უნდა იქცეს ყველასთვის!

გვ.6



გვ.8

სოფელ სამრეკლოში დედათა მონასტერი გაიხსნა

15 ოქროს მედალოსანი დედოფლისწყაროდან

გვ.8

რომელი ქუჩა და სოფელი კეთილმოეწყობა 2018 წელს?

გვ.3

გვ.3

დაცულია თუ არა სახანძრო – უსაფრთხოების ნორმები?

„ქვეყანა ისეთი უნდა გვიყვარდეს, როგორიცაა და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უკეთესი გავხადოთ“...

გვ.4

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2018 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2018 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 28 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

C M Y K

პრემიერ-მინისტრი დეპუტატ შოთა შალელაშვილის მიმართვას გამოეხმაურა

უმრავლესობის ფარგლებში ასეთი საჯარო წერილებისა და განცხადებების მიწერა პრემიერ-მინისტრისთვის, ჩემთვის მიუღებელი ფორმაა, - ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტების კითხვას, დეპუტატ შოთა შალელაშვილის მიმართვასთან დაკავშირებით, ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის ოფიციალურად აღიარების შესახებ.

პრემიერის შეფასებით, აღნიშნულ საკითხზე საკუთარ პოზიციას სახელმწიფო მსჯელობის შემდეგ დააფიქსირებს.

„საკითხი არის ძალიან სენსიტიური. ამ საკითხთან დაკავშირებით გვექნება მსჯელობა და საქართველო დააფიქსირებს თავის პოზიციას, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საერთაშორისო კონიუნქტურის და იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს რეგიონში. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე პატივს ვცემ ყველა დეპუტატს, მაგრამ უმრავლესობის დეპუტატის მხრიდან ასეთ სენსიტიურ საკითხზე ასეთი მოსაზრებების ღია წერილით დაფიქსირება ჩემთვის არის მიუღებელი ფორმა", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

დიმიტრი ქუმსიშვილი - საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს განვითარების ოთხპუნქტიან გეგმას სრულად უჭერს მხარს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს განვითარების ოთხპუნქტიან გეგმას სრულად უჭერს მხარს, - ასე გამოეხმაურა ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებას საქართველოს ბიუჯეტთან დაკავშირებით.

მინისტრის თქმით, პროცესები, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარიმართა, მნიშვნელოვანია. მან ოთხპუნქტიანი გეგმის განხორციელების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„პროცესი, რომელიც წარიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მნიშვნელოვანია. პრაქტიკულად, ზეპირი მოსმენის განხილვის გარეშე მივიღეთ თანხმობა პირველ მიმოხილვაზე, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანამ შეასრულა მის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი სრულად უჭერს მხარს ქვეყნის განვითარების ოთხპუნქტიან გეგმას", - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მიხეილ გიორგაძე - კადრები შემცირდება

კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ვარაუდობს, რომ რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის შედეგად კულტურის და სპორტის გაერთიანებულ სამინისტროში კადრები შემცირდება.

როგორც მინისტრმა განმარტა, შემცირებები შეეხება ძირითადად ადმინისტრაციულ მიმართულებას.

"ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. ვფიქრობ, რომ ჩვენს სამინისტროს ამ ნაწილში 3 თვე არ დასჭირდება და ჩვენ ამ გეგმის წარსადგენად მზად ვიქნებით ბევრად უფრო ადრე. თუმცა კონკრეტულ ციფრებს მაშინ მოგახსენებთ, როცა ეს გეგმა ჩამოყალიბებული იქნება. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვინარჩუნებთ დარგობრივ მიმართულებას, სპორტს და კულტურას. ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში იქნება გარკვეული ოპტიმიზაცია და შემცირებები. კადრების შემცირებას ვვარაუდობ, თუმცა ეს შემცირება შეეხება ადმინისტრაციულ ნაწილს, ვინაიდან დარგობრივ ნაწილში სრულად ვინარჩუნებთ კადრებს, რომლებიც მაღალი პროფესიონალები არიან და ჩვენ არც ერთი პროფესიონალის დაკარგვა არ გვინდა", - განაცხადა გიორგაძემ.

ლევან დავითაშვილი ზეთისხილის მოსავლის აღებისა და გადამუშავების საწარმოო პროცესს გაეცნო

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სიღნაღის რაიონში, სოფელ საქობოში, ზეთისხილის მოსავლის აღებისა და გადამუშავების საწარმოო პროცესს გაეცნო.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, საქობოში ზეთისხილის ბაღები და გადამამუშავებელი საწარმო ჰოლანდიურ-თურქული ინვესტიციით და „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებით" შეიქმნა.

სამინისტროს ინფორმაციით, საწარმოში, რომელშიც 800 ადამიანია დასაქმებული, განხორციელებული ინვესტიციების ჯამური რაოდენობა 5 მილიონი ლარია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მსგავსი ტიპის საწარმოების არსებობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ადგილობრივების დასაქმების ხელშეწყობაზე გაამახვილა ყურადღება.

„საქართველოში ზეთისხილი ახალი კულტურაა და მნიშვნელოვანია, მისი პოპულარიზაცია მოხდეს, რადგან ძალიან მოთხოვნადია, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. საქართველოს მრავალწლიანი კულტურების გაშენების დიდი პოტენციალი გააჩნია. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი" ახორციელებს. ასეთი პროგრამები ხელს უწყობს საქართველოში ახალი მრავალწლიანი კულტურების გაშენებას, მეხილეობის დარგის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კახეთის მხარის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა რეგიონში, მევენახეობის პარალელურად, ზეთისხილის პლანტაციების გაშენების მიმართ ადგილობრივი მეწარმეების დაინტერესებაზე გაამახვილა ყურადღება. გუბერნატორმა აღნიშნა, რომ კახეთში ეს დარგი აქტიურად ვითარდება და დაახლოებით 200 ჰა-ზე ზეთისხილის ბაღებში უკვე მოსავალია.

საწარმოს მფლობელის, ბიზნესმენ გიორგი სვანიძის განაცხადებით, ქართული ზეთისხილის პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე პოპულარობით სარგებლოს. უახლოეს მომავალში კომპანია პროდუქციის ამერიკაში, ევროპაში, ამიერკავკასიისა და დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტს გეგმავს.

ზეთისხილის საწარმოში ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებია დანერგილი, რაც უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. საწარმოს წარმადობა სეზონზე რამდენიმე ასეული ტონა ზეთისხილის მარინადის და ექსტრა ვირჯინის უმაღლესი ხარისხის ზეითუნის ზეთის წარმოების შესაძლებლობას ქმნის.

ზეთისხილის მოსავლის აღების და გადამუშავების პროცესს, მინისტრთან და მხარის გუბერნატორთან ერთად, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები გიორგი ჩხეიძე და იური ნოზაძე, ასევე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურა ჩეკურაშვილი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ლევან უჯმაჯურიძე გაეცნენ", - აღნიშნულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რექს ტილერსონი - აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში წევრობას

აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში წევრობას, - ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა ეუთო-ს მინისტერიალის ფარგლებში, საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ხანმოკლე შეხვედრის შემდგომ განაცხადა.

„აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში წევრობას, მოუთმენლად ველოდებით ყველა იმ ნაბიჯის გადადგმას, რომელიც საჭიროა გაწევრიანებისთვის", - განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა.

ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წვერებმა ეუთო-ს 24-ე მინისტერიალის ფარგლებში, ხანმოკლე შეხვედრა გამართეს საქართველოს ვიცე-პრემიერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან.

აღნიშნულ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

პრეზიდენტის არჩევის წესში ცვლილებების განხორციელების საკითხზე გუნდში კონსულტაციები გაიმართება

ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის, მამუკა მდინარაძის ინფორმაციით, პრეზიდენტის არჩევის წესში ცვლილებების განხორციელების საკითხზე უმრავლესობაში კონსულტაციები გაიმართება.

საქმე პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით - საარჩევნო კოლეგიის ნაცვლად, პარლამენტის მიერ არჩევას ეხება, რომლის მიზანშეწონილობაზეც პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ უკვე ისაუბრა.

როგორც მდინარაძემ განაცხადა, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ჩასწორების საკითხზე მსჯელობა მიდის, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

დეპუტატის აზრით, სამართლებრივად სწორი და მართებული არ არის, პოლიტიკური თანამდებობის პირი პოლიტიკოსებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ადმინისტრაციული არჩევნების შედეგად მიღებულმა თანამდებობის პირებმა ერთად აირჩიონ.

"ამ თემაზე მიდის კონსულტაციები და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. სესიაზე საერთო, გუნდის შიგნით საბოლოოდ შეჯერებული პოზიციით გამოვალთ. პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩევის საკითხი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში კომპრომისის, კონსენსუსის შედეგად ჩაიწერა. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის აზრი, მაგრამ მსოფლიოში ამის პრეცედენტები ნაკლებად არსებობს. გარდა ამისა, როდესაც ჩვენ საარჩევნო კოლეგიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მივიღეთ, მაშინ არ იყო გადაწყვეტილი შემდგომი 2018 წლის საპრეზიდეტო არჩევნები პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით ჩატარდებოდა. ამიტომ ლეგიტიმაციის გასაზრდელად კოლეგიური ორგანოს შემოღების წინადადებას დავთანხმდით. ახლა, როცა პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით 2024 წლისთვის ვირჩევთ და პრეზიდენტი 2024 წლის მოწვევის პარლამენტმა უნდა აირჩიოს, გადავწყვიტეთ აღნიშნულ საკითხზე გუნდის შიგნით ვიმსჯელოთ. სასესიო კვირას პარლამენტის წინაშე საბოლოო გადაწყვეტილებით წარვდგებით", - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ახალმიღებულ კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განხილვას პარლამენტი მომავალი კვირიდან იწყებს.

ისრაელელ სამართალდამცველებსა და პალესტინელებს შორის შეტაკებების შედეგად 50 პალესტინელი დაშავდა

იუდეასა და სამარიაში (დასავლეთ სანაპირო) და ღაზას სექტორის აღმოსავლეთ ნაწილში პალესტინელების მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყო.

საპროტესტო აქცია ისრაელის პოლიციასთან შეტაკებებში გადაიზარდა. მათ პოლიციელებს ქვები დაუშინეს.

არსებული ინფორმაციით, შეტაკებების შედეგად 50 პალესტინელია დაშავებული. ისრაელის პოლიციამ აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

დემონსტრანტები წვავენ ისრაელის დროშებს და სკანდირებენ „ომი ახლოვდება", „მოვკვდეთ წამებულებად - ისრაელის სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს".

გუშინ, ტერორისტული დაჯგუფება „ჰამასის" ლიდერმა ისმაილ ხანიამ პალესტინელებს ისრაელის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისკენ მოუწოდა. მოძრაობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება დონალდ ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადებას და სამშვიდობო მოლაპარაკებებს არ აპირებს.

საკრებულოს კომისიების შემადგენლობა დამტკიცდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე მუდმივმოქმედი კომისიების პერსონალური შემადგენლობა დამტკიცდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია:

თავმჯდომარე: გიორგი გოგილაშვილი, წევრები: მამუკა სეფიაშვილი, დავით ალულიშვილი, ალექსანდრე პაპაჩაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, ნუგზარ ყოჩიაშვილი, გიორგი ჭინჭარაული, ლევან იაკობიშვილი, ნოშრევან ნატროშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

თავმჯდომარე: ჯემალ კოტაშვილი, წევრები: ეთერ დავითაშვილი, ალექსანდრე პაპაჩაშვილი, გივი გიგაური, გიორგი გოგილაშვილი, მიხეილ ბახუტაშვილი, ზაზა მეხრიშვილი, ლევან ბაღაშვილი, შოთა ჭინჭარაული, ნოშრევან ნატროშვილი.

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

თავმჯდომარე: მიხეილ ბახუტაშვილი, წევრები: ვასილ სამადაშვილი, ეთერ დავითაშვილი, ბაბალე თეთრაული, არსენა ბაღაშვილი, ნიკოლოზ ხუციშვილი, ლევან ბაღაშვილი, ივანე შანშიაშვილი, ავთანდილ ხარხელაური, შალვა ხორნაული.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

თავმჯდომარე: გივი გიგაური, წევრები: დავით ალულიშვილი, მამუკა სეფიაშვილი, არსენა ბაღაშვილი, ნუგზარ ყოჩიაშვილი, დავით გონაშვილი, ალექსანდრე ბენაშვილი, ლევან იაკობიშვილი, შალვა ხორნაული.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და გუნებრივი რესურსების კომისია:

თავმჯდომარე: ნიკოლოზ ხუციშვილი, წევრები: აკაკი ქავთარაძე, ვასილ ჩოვუშიანი, ვასილ სამადაშვილი, ზაზა მეხრიშვილი, ბაბალე თეთრაული, გიორგი ჭინჭარაული, ავთანდილ ხარხელაური, შოთა ჭინჭარაული, ივანე შანშიაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხუთივე მუდმივმოქმედ კომისიას უფლებამოსილების განხორციელება ოფიციალურად დღეიდან შეუძლია.

რომელი ქუჩა და სოფელი კეთილმოეწყობა 2018 წელს?

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. საკრებულოს წევრებმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს.

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“ შეტანილი ცვლილებების შესაბამისად , მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით , „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №13 დადგენილებაში, შევიდა ცვლილებები და დამტკიცდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ახალი დებულებები.

სხდომაზე ასევე , მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 სექტემბრის №51 დადგენილება.

დღესვე, საკრებულომ კენჭი უყარა და დაამტკიცა ცვლილებები, რომლებიც „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში შევიდა.

ცვლილებების თანახმად, ჯანდაცვის პროგრამის სუბსიდირების ხარჯი 9 000 ლარით გაიზარდა, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 20 000 ლარით, სკოლამდელი განათლების სუბსიდირების ხარჯი- 40 000 ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დაფინანსებას 15 000 ლარი დაემატა. აღნიშნული ცვლილების მიზეზი სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მოთხოვნით მოქალაქეთა მომართვიანობის გაზრდა გახდა. ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადების ნაწილი ჯამში 104, 5 ათასი ლარით გაიზარდა.

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს და დადებითად შეაფასეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში. აღინიშნა, რომ ანგარიშის დაგვიანებით განხილვის მიზეზი 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები გახდა, რამაც საკრებულოს შემადგენლობის შეცვლა გამოიწვია.

სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრებმა განიხილეს და მოიწონეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.

1. ქალაქ დედოფლისწყაროში ლეონიძის ქუჩაზე ასფალტის საფარის რეაბილიტაცია 80561
2. ქალაქ დედოფლისწყაროში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა 183130
3. სოფელ ხორნაბუჯში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა 300368
4. ქ. დედოფლისწყაროში ევდოშვილის ქუჩის პირველი შესახვევის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა 104807
5. ქალაქ დედოფლისწყაროში 9 ძმის 1 შესახვევში ასფალტის საფარის რეაბილიტაცია 89473
6. სოფელ ზემო მაჩხაანის და სოფელ მირზაანის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 225000
7. სოფელ არბოშიკში მდებარე სასაფლაოსთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 200000
8. ქალაქ დედოფლისწყაროში კახეთის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე და მის შესახვევში ასფალტის საფარის მოწყობა 170000
9. ქალაქ დედოფლისწყაროში არხოტის ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა 60000
10. ქალაქ დედოფლისწყაროში 1 მაისის, ნინოშვილის ქუჩაზე და გამარჯვების ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა 190000
11. ქალაქ დედოფლისწყაროში თამარის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა 135000
12. სოფელ ზემო მაჩხაანში სანიაღვრე არხის მოწყობა 164307
13. სოფელ ზემო ქედში სასმელი წყლის მაგისტრალური წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია 398 750
14. სოფელ ზემო მაჩხაანში არსებული ცენტრალური რეზერვუარის რეაბილიტაცია 250 000
15. სოფელ არბოშიკში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია 200000
16. სოფ. არხილოსკალოში, საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია 129971
17. სოფელ სამრეკლოში პირველი ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა 373889
18. ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია 94334
19. ქ. დედოფლისწყაროში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე გარე განათების მოწყობა 110000
20. სოფელ გამარჯვებაში არსებული სასმელი წყლის მე-2 რეზერვუარის რეაბილიტაცია და ჭაბურღილის მოწყობა 200000
21. ქ. დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია 80 000
22. ქალაქ დედოფლისწყაროში ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 120 000
23. სოფელ ზემო მაჩხაანში არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 180 000
24. სოფელ ზემო მაჩხაანში არსებულ “არმათიონი”-ს ეკლესიიდან მაჯვენა მხარეს ცენტრალური გზის პარალელურად მიმავალ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა 500 000
25. ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე ასფალტის საფარის რეაბილიტაცია 600 000
26. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იტორიულ ციხე-ქალაქთან (“ხორნაბუჯი”-ს ციხე) მისასვლელ საავტომოლო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 500 000
27. ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის რეაბილიტაცია 250000
28. სოფელ ხორნაბუჯში ლერმონტოვის ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა 170000.

დაცულია თუ არა სახანძრო-უსაფრთხოების ნორმები?

წლის ბოლომდე კახეთის რეგიონში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის თვალსაზრისით, 1 200 ობიექტის შემოწმებაა დაგეგმილი. რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ისეთი შენობების გამართულობის შემოწმება მიმდინარეობს, სადაც ხალხმრავლობაა. ობიექტებს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ამოწმებს.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორია კონკრეტულად ისეთი სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების მდგომარეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, როგორებიცაა სკოლები და საბავშვო ბაღები.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ემილრ ზურიკაშვილი** ამბობს, რომ დედოფლისწყაროს ყველა სკოლის შემოწმება უკვე დასრულდა და სპეციალისტებს რაიმე სახის ხარვეზები არ გამოუვლენიათ.

„ყველა სკოლა შემოწმდა, ყველა შენობაში გამართულია უსაფრთხოების სისტემა. ყველა სკოლა ფლობს ცეცხლმაქრებს და თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმებიც. როგორც სკოლის დირექტორებმა გვაცნობეს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სპეციალისტებს შენიშვნები არ ჰქონიათ. კლასის დამრიგებლები პერიოდულად ატარებენ უსაფრთხოების ნორმებზე საუბრებს. თუმცა, აუცილებელია სპეციალისტებმაც ჩაატარონ სკოლებში ამგვარი სწავლება. როგორც ვიცი, იმიტირებული სამაშველო აქტივობები დაგეგმილია, რომელსაც თავად მაშველები ჩაატარებენ,“ – აღნიშნავს ეთერ ზურიკაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის უფროსი **მაია ყოჩიაშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ გეგმიური შემოწმება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა. მისი თქმით, სპეციალისტებს უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნები არცერთი შენობის მიმართ არ ჰქონიათ.

„დედოფლისწყაროში სულ 17 საბავშვო ბაღი მოქმედებს. ყველგან ტარდება როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური შემოწმება. ჩვენ უკვე შეგვამოწმა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადგილობრივმა სამსახურმა. მოგვცეს რეკომენდაციები და აუცილებლად გავითვალისწინებთ. რაიმე განსაკუთრებული შენიშვნა ან საყვედური არ მიგვიღია. ისედაც დაგეგმილი გვქონდა ცეცხლმაქრების შეძენა და მათი რეკომენდაციაც ეს იყო. ახლა მიმდინარეობს შესყიდვა. ასევე საევაკუაციო გეგმები მომზადდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისთვის დედოფლისწაროს საბავშვო ბაღებში უსაფრთხოების ნორმები დაცულია და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ღონისძიება გატარდება საამისოდ,“ – აღნიშნავს მაია ყოჩიაშვილი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს პრესსამსახურში განაცხადეს, ამ დროისთვის ობიექტების უმრავლესობა უკვე შემოწმდა და გარკვეული დარღვევებიც გამოიკვეთა. მათი თქმით, კახეთში 1 000-მდე ობიექტს გაფრთხილება მიეცა.

„სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების ზედამხედველობას დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობებში, ძირითადად, არ არის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული საევაკუაციო გეგმები, სათადარიგო გასასვლელები ჩახერგილია, შენობებში არ არის საკმარისი რაოდენობის ცეცხლმაქრი სისტემები და საშუალებები და ა.შ. რეკომენდაციები, ბუნებრივია, ცალკეული შენობის შემთხვევაში ინდივიდუალურია. დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დროს აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, ხდება სათანადო სარეკომენდაციო წერილის შედგენა და მათ მფლობელებს ეძლევათ გონივრული ვადა - არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ხორციელდება საკონტროლო განმეორებითი საზედამხედველო შემოწმება. მიწერილობაში დაფიქსირებული დარღვევების კვლავ არსებობის შემთხვევაში, დანესებულებას ეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა. რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, კახეთში, ზედამხედველობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლების მიერ, გაფრთხილება მიღებული აქვს, დაახლოებით, 1000 ობიექტის მფლობელს - შენობაში სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების არასათანადოდ დაცვისთვის.“

ბაღებსა და სკოლებში სახანძრო სისტემების მონიტორინგის დაწყების შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მან პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე ისაუბრა, რათა ტრაგედიები მომავალში თავიდან იქნას აცილებული. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს კომპრომისები მშენებლობის დაგეგმარების, პროექტის დამტკიცების და ექსპლუატაციაში მიღების პროცესში.

„დამეთანხმებით, უნდა გატარდეს პრევენციული ზომები იმისათვის, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ასეთი ტრაგედიები. ხანძრები ყველგან ხდება და არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ აქ არ მოხდება, თუმცა ჩვენ უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, რომ ასეთი მსხვერპლი თავიდან იყოს აცილებული. ნებისმიერი ინვესტიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე არის უფრო მნიშვნელოვანი და მოვუწოდებ ყველა შესაბამის ორგანოს, მაქსიმალურად გაამკაცრონ კონტროლი ამ მიმართულებით. ასევე, მინდა, ზურაბ ალავიძეს ვთხოვო, რეგიონებში კიდევ ერთხელ ჩავატაროთ სამუშაო კამპანია, რათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიღების პროცესში არანაირი კომპრომისი არ იყოს დაშვებული”, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

„ქვეყანა ისეთი უნდა გვიყვარდეს, როგორიცაა და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უკეთესი გავხადოთ“...



მას ყველაზე ხშირად გამგეობის თათბირებსა და საკრებულოს სხდომებზე შეხვდებით, ანდა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მუდამ ჩაფიქრებული, საქმიანი იერით დააბიჯებს. მისი პროფესიული სიტყვა ყოველთვის გადამწყვეტია, თუმცა, სიტყვაუხვობით არასოდეს გამოირჩევა.

რამდენიმე ხნის წინ მას დაბადებიდან საიუბილეო თარიღი – 70 წელი შეუსრულდა. გიორგი გონაშვილს მოსამართლეობის 10 წლიანი პრაქტიკა აქვს, შემდეგ კი –საჯარო სექტორში იურისტად მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი. ის კარგი პროფესიონალი, ბედნიერი მამა და პაპაა. მას სამი შვილი, ორი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავს.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

– 70 წლის გადასახედიდან, ცხოვრება მშვენიერია თუ ერთგვარი ჯვარიცაა?-როგორ შეაფასებდით....

– ცხოვრება რომ უამრავი განსაცდელითაა აღსავსე, ეს არავისთვის ახალი არ არის. თუმცა, თითოეული მათგანი გვაძლიერებს და მეტ გამოცდილებას გვძენს. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მაინც მშვენიერია ცხოვრება.

– ცხოვრებაში მთავარ ფასეულობად რა მიგაჩნიათ-სიყვარული, სიკეთე, ერთგულება თუ...

– პირველი, რა თქმა უნდა, სიყვარულია, იმიტომ რომ, რა საქმეც უნდა აკეთო, თუ მას სიყვარულით არ მიუდგები და გულს არ ჩადებ, არაფერი გამოვა...სიყვარულით ნაკეთები საქმის შედეგი კი კეთილი უნდა იყოს, ყველას სასიკეთოდ უნდა წაადგეს, განსაკუთრებით კი ქვეყანას. ხოლო, სადაც სიყვარულია, იქ ერთგულებაცაა. ვერასოდეს უერთგულებ იმ საქმესა თუ ადამიანს, რომელიც არ გიყვარს.

– სამშობლოს სიყვარულის თქვენეული განსაზღვრება-დღეს ბევრი გარბის საზღვარგარეთ და ასე სურს ეკონომიკური პრობლემის მოგვარება...

– დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენ ბევრი სირთულე შეგვექმნა, მაგრამ ის ხალხი, ვინც აქ ვცხოვრობთ, ვალდებულნი ვართ, ქვეყანა ისეთი გვიყვარდეს, როგორიცაა და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უკეთესი გავხადოთ და არა საზღვარგარეთ წავიდეთ და პრობლემას გაქცევით ვუშველოთ... გინდ გაქცევა დავუძახოთ და გინდა სამუშაოდ წასვლა. შესაძლოა, უცხოეთში წასვლით მატერიალური კეთილდღეობა შეიქმნას ადამიანმა, მაგრამ იქედან დაბრუნებულებს სხვა სულიერი ფასეულობები აქვთ უკვე, ქართულისგან განსხვავებული... ამიტომაც უჭირთ აქ ცხოვრება და საქართველოს ხელახლა შეგუება.

– თქვენი აზრით, რა არის თავისუფლება, სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და უზნეობას შორის?

– ზღვარგადასული არაფერი არ ვარგა, ყველაფერი რაღაც ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ადამიანი, რა თქმა უნდა, თავისუფალი იბადება, მაგრამ გარკვეულ კანონზომიერებას ხომ უნდა დავემორჩილოთ. რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ორი „ჩოხოსნის“ ფოტო. როგორც გაირკვა, ამათგან ერთი ქართველი გეი იყო, მეორე კი-ამერიკელი, რომელთაც ქართული ეროვნული ტანსაცმლით არატრადიციული ქორწინება აღნიშნეს. ბუნებრივია, ამ ფაქტმა ქართველების აღშფოთება გამოიწვია, რადგან ჩოხა ჩვენი ეროვნულობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოა. ეს ფაქტი კი ჩვენი ტრადიციების აბუჩად აგდების მცდელობად შეაფასა ქართულმა საზოგადოებამ. მართალიც იყო, რადგან თუ არ იზიარებ და არ მოგწონს, პატივი მაინც უნდა სცე იმას, რაც შენი ერისთვის ღირებულია.

– და მაინც, რა არის ჩვენი ტრადიცია?

– ერთ ოჯახში სხვადასხვა თაობის ერთად ცხოვრება, ესაა ჩვენი ტრადიცია, სადაც უმცროსებიც და უფროსებიც ძალიან ბევრს სწავლობენ ერთმანეთისგან. მათ შორის შრომის კულტურას. მამაჩემი მეცხვარე კაცი იყო და როცა ბორჯომის რაიონში, ბაკურიანის მიმდებარედ, ტაბაწყურის ტერიტორიაზე მიჰყავდათ ცხვარი, შვილებიც თან ვახლდით და გვასწავლიდნენ ცხვრის მოვლას. ჩემთან ერთად აქ იყვნენ სხვა ბავშვებიც, ძირითადად სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ზაფხულის არდადეგებს უქმად არ ვატარებდით. და დღესაც, ჩემთვის საქონლის მოვლა-პატრონობა უფრო იოლია, ვიდრე სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობა და თოხით მუშაობა.

და ყველაზე მთავარი იცით, რა იყო?-ამ დროს, ცხოველებთან, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის გარდა, უამრავ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვიღებდით,ვსწავლობდით კარგისა და ცუდის, შავისა და თეთრის გარჩევას... იქ ნასწავლი და გაგონილი ამბები დღემდე მომყვება და ცხოვრების ცოცხალი გაკვეთილია ჩემთვის...

– დღეს, თანამედროვე თაობას შრომა ეთაკილება, ახალგაზრდები ყველანაირ სამუშაოზე აღარ მიდიან. მშობლებიც უფრთხილდებიან მათ და ამბობენ, რომ ურჩევნიათ, მათმა შვილებმა მძიმე და „შეუფერებელი“ სამუშაოსგან თავი შორს დაიჭირონ და ისევ მშობლების კმაყოფაზე იყვნენ. როგორ ფიქრობთ, რა არის ეს- შვილებზე ზრუნვა თუ დათვური სამსახური?

– რა თქმა უნდა, დათვური სამსახურია. როდესაც ადამიანი სოფელში ცხოვრობს და იკითხავს, ძროხა ხომ არ მიკბენსო?-ეს ცოტა სასაცილოდ ჟღერს.ამიტომ მე არ ვეთანხმები ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავისუფალია და მას ვერ აიძულებ მუშაობას, მაგრამ, ნათქვამია, მედალს ორი მხარე აქვსო-ამ შემთხვევაშიც ასეა: ჩვენ ადამიანს პარაზიტობას ვაჩვევთ. მაშ ვის ხარჯზე უნდა იცხოვროს ამ ადამიანმა, თუკი არ იმუშავებს, ისევ მშობლების, მათი პენსიების ხარჯზე?

– დღევანდელი კანონმდებლობით ადამიანს მხოლოდ მუშაობის დაძალების უფლება კი არა აქვს, არამედ ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში პირდაპირაა ჩაწერილი, რომ ბავშვს უფლება აქვს უჩივლოს მშობელს, თუკი ჩათვლის, რომ ის მის მიმართ ზედმეტად მკაცრია...

– რა თქმა უნდა, არსებობს შემთხვევები, როცა მშობლები ძალადობენ შვილებზე. ასეთ შემთხვევაში მათ პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე, მაგრამ სხვა შემთხვევაში, მშობლის დატუქსვაც უნდა აიტანოს შვილმა და დამოუკიდებლობასაც უნდა მიეჩვიოს. პატარა ბავშვიც უნდა მივაჩვიოთ, რომ თუ მას შეუძლია წყლის მოტანა, მშობელს კი არ დაელოდოს, არამედ თვითონ მოემსახუროს საკუთარ თავს. სხვანაირად როგორ შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას? ადამიანის ცხოვრებაში უამრავი რამ ხდება, მათ შორის ახალგაზრდა ასაკში, თუ თავიდანვე არ მოვამზადეთ ბავშვი დამოუკიდებლობისათვის, როგორ დააღწევს ის თავს ამდენ განსაცდელს? ამაზე ხომ ყველამ უნდა იფიქროს.

– და მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის ორგანული იყო ცხვარი, მესაქონლეობა, გადაწყვიტეთ, გამხდარიყავით იურისტი. რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი.

– ბავშვობიდან მიყვარდა წიგნის კითხვა. მამიდა ბიბლიოთეკარი იყო და ძალიან ბევრი წიგნი ჰქონდა. რადგან იცოდა, კითხვა მიყვარდა, უფლებას მაძლევდა, დამოუკიდებლად შევსულიყავი და ამერჩია სასურველი ლიტერატურა. მე დეტექტიურ ჟანრს ვანიჭებდი უპირატესობას. წიგნი ხომ უფრო მეტად სიკეთეს გვანახებს და ამიტომ, ჩემი საყვარელი პერსონაჟები იყვნენ გამომძიებლები, რომლებიც დანაშაულს ებრძოდნენ. ასევე, ისინი შთამაგონებდნენ თავდადებას ქვეყნისადმი და ადამიანების დაცვისათვის მზადყოფნას, სამართლიანობას, კანონიერებას და ამიტომ გადავწყვიტე იურისტობა. ან სამხედრო პირი უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ სამხედრო კარიერაზე მშობლების მხრიდან წინააღმდეგობას წავაწყდი, მერე მეც დავფიქრდი და მივხვდი, ისინი მართლები იყვნენ. ასე გავხდი იურისტი.

– როგორ ერთობოდა თქვენი თაობა, რა იყო თქვენი საყვარელი თამაში?

– უამრავი თამაში იყო, მაგრამ ყველაზე აქტუალური იყო ომობანა. ბიჭები ჯგუფებად ვიყოფოდით და ასე „ვიბრძოდით“. მახსოვს, ერთხელ, მზვერავად აყვანაზე უარი მითხრეს. როდესაც მიზეზი ვკითხე, მიპასუხეს, რომ შენ თითების გარეშე სტვენა არ შეგიძლია, იქნებ ხელები ან თითები დაგემტვრას და ნიშანს როგორ მოგვცემო? ასე „დამიწუნეს“ და სხვა პოზიციაზე გამამწესეს. მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო და აგიტაციაც ასეთი იყო, კინო, წიგნი, ისეთი გამოდიოდა, რომელიც გმირობისკენ, სამშობლოს დაცვისკენ გიბიძგებდა. ჩვენი საყვარელი თამაშიც ამის გამოძახილი იყო.

– ყველა თაობას აქვს რაღაც საცდური, გინდ მავნე ჩვევა ვუწოდოთ... დღეს ეს ნარკოტიკია, თქვენს დროს ალბათ სიგარეტი იყო...

– კი, სიგარეტი იყო. ჩემს კლასში თითქმის ყველა ეწეოდა, მაგრამ მე არასოდეს გამისინჯავს. მასწავლებელი გვყავდა-ბიძინა სეხნიაშვილი, რომელიც მშობელთა კრებაზე ყველა ბავშვის მისამართით გამოთქვამდა - ხოლმე საყვედურს, ჩემს გარდა. როდესაც ეკითხებოდნენ, გოგის მიმართ არაფერი პრეტენზია გაქვსო, ეუბნებოდა-იმას, რასაც სხვები აშავებენ, ეგ არ აკეთებსო, სიგარეტის მოწევას გულისხმობდა.

– რას იტყვით მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე?

– მარიხუანის მომხმარებელთა მიმართ კანონი რბილდება, სამაგიეროდ, ამბობენ, რომ გამსაღებლების მიმართ იქნება კანონი მკაცრი. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს იქნება ცალმხრივი ბრძოლა. თან დღეს უკვე ძალიან ბევრნაირი ნარკოტიკული საშუალებაა, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს.ადამიანმა, შეიძლება, დაიწყოს მსუბუქი ნარკოტიკით, მაგრამ შემდეგ ხომ უთავდება ეს საშუალება, ნარკოტიკის მოთხოვნილება კი უმძაფრდება. მის შესაძენად კი ფულია საჭირო. ის ჯერ ოჯახიდან იწყებს ნივთების გატანას, შემდეგ-ახლობლებს ძარცვავს. ანუ, ხდება დამნაშავე. ამიტომაა ნათქვამი, რომ ნარკომანობიდან-დამნაშავეობამდე ერთი ნაბიჯიაო. სასამართლოს ყოველთვის აქვს საშუალება, გაითვალისწინოს, რომ დამნაშავე ახალბედაა და სასჯელიც ისე გამოიტანოს. ჩემი მოსამართლეობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ბევრ ასეთ შემთხვევასთან მქონია საქმე. რა თქმა უნდა, ნარკოტიკის ჩადებას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ თუ ადამიანი არღვევს ცხოვრების წესს, ამით ის მხოლოდ თავის თავს არ ვნებს, ის ვნებს მთელ ოჯახს და იმ საზოგადოებას, სადაც ის ტრიალებს.

– რას ეტყოდით ახალგაზრდებს?

– აუცილებელია სიყვარული, რომელსაც ვსწავლობთ ოჯახში და სამშობლოს სიყვარული. მნიშვნელოვანია საქმისადმი სიყვარული. რაც გინდა გააკეთო, სიყვარულით უნდა აკეთო და არა მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე თვითონ იტყვის, რომ ის ზერელედ შეასრულეს... შრომისმოყვარეობა არის აუცილებელი. ყველამ კარგად იცის, რომ საზღვარგარეთ, მდიდარი ოჯახების შვილებს უბრალო სამუშაოს შესრულება სათაკილოდ არ მიაჩნიათ, მათთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მშობლებიც სრულწლოვან ასაკში სახლიდან უშვებენ შვილებს და სრულ თავისუფლებას აძლევენ, რათა თავის რჩენა შეძლონ, ხოლო თუ შვილი არ გამოდგება, მას მემკვიდრეობასაც არ უტოვებენ.

ახალგაზრდებს ვურჩევდი: აირჩიეთ ის პროფესია, რომელიც თქვენ გინდათ და რომლის მიდრეკილებაც გაქვთ. გახსოვდეთ, სწორად არჩეული პროფესია მთელ თქვენს ცხოვრებას განსაზღვრავს.

P.S. გაზეთ „შირაქის“ რედაქცია გოგი გონაშვილს ულოცავს დაბადების საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

ერთმანეთის მხარდამხარ ძალადობის პირისპირ...

სულიშემძვრელი ამბავი მოხდა გასულ კვირას თბილისსა და ოფშკვითში. მოზარდებმა ერთმანეთს სიცოცხლე არაადამიანურად მოუსწრაფეს. ამას უკვე ბულინგი აღარ ჰქვია, ამისთვის მე სიტყვებს ვერ ვპოულობ. ხანდახან ვფიქრობ, ამ ახალგაზრდებს ის 14 და 12 ჭრილობა თანატოლებმა კი არ მიაყენეს, არამედ მისმა ოჯახის წევრებმა, მისმა პედაგოგებმა, მე და თითოეულმა ამ ქვეყნის მოქალაქემ ერთად. ეს, ალბათ, იმ ყველაფრის გამოძახილია, რასაც თავის დროზე ვერ გავეცით ზუსტი პასუხი და ვერ მოვახდინეთ სწორი რეაგირება, რადგან, ვთვლი, რომ ასეთი ტრაგედიები ერთ დღეში და ერთ თვეში არ ხდება. ეს დროში გაწელილი მოუგვარებელი პრობლემების შედეგია.

იმისათვის, რომ პრობლემები გამოვასწოროთ, იგი პირველ რიგში სწორად უნდა შევაფასოთ და სწორი რეაგირება მოვახდინოთ მასზე. სამწუხაროდ, დღეს სკოლები ზოგჯერ უუნაროა, სწორად შეაფასოს აღნიშნული ძალადობრივი ქმედებები. ზოგიერთი პედაგოგი კი ელემენტარულად, თვალწინაც ვერ ამჩნევს ბულინგის მსხვერპლს და მას „ცელქობას“ მიაწერს. როდესაც მასწავლებელთა უფლებებზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ამ თემის ირგვლივ სპეციალური ტრენინგების გავლაც ესაჭიროებათ. დიახ, დღემდე ძალადობრივი აღზრდის სოლიდარულები არინ პედაგოგები, რომლებიც გვირჩევენ, რომ შვილი მტრულად უნდა აღვზარდოთ, მოყვარედ რომ გამოგვადგეს.

საზოგადოება, სკოლა, ოჯახი, ეს ის სამკუთხედია, რომელიც უნდა გავერთიანდეთ და ერთობლივად ჩავებათ პრობლემების მოგვარებაში. სხვანაირად, ვერანაირ ქვეყანას ვერ ავუშენებთ ჩვენს შვილებს, სხვანაირად, მათი ხვალინდელი დღე სიცარიელით იქნება სავსე...

ის, ვინც დღეს თანატოლებზე ძალადობს ან ოდესმე ძალადობდა, (სკოლაში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას), ის, ვინც „ძველბიჭობას“ და „ქუჩურ გარჩევებს“ ანიჭებს უპირატესობას, მანაც და მისმა მშობელმაც კარგად უნდა იცოდნენ, რომ ხვალ ამ ახალგაზრდებს ხელში შერჩებათ ინტერესების გარეშე დარჩენილი ცარიელი სამყარო, სავსე ნარკოტიკით, ალკოჰოლით, ან სხვა დამოკიდებულებით, სხვის ჯიბეებში ხელების ფათურთან ერთად სხვისგან დახმარების მოლოდინში ცხოვრებით, რომელიც ყოველთვის ან ციხის კედლებით სრულდება, ან უფრო ფატალური დასასრულით. მე სხვა „წარმატება“ ასეთი ადამიანების შესახებ ჯერ არ მსმენია!

რა სმენია და რა იცის ჩვენმა საზოგადოებამ ბოლო დროს განვითარებული სამწუხარო მოვლენების ირგვლივ, სად და რაში ხედავენ გამოსავალს ზოგადად ბულინგის, ჩაგვრის წინააღმდეგ, კითხვებზე კომენტარებს ჩვენი რესპოდენტებისგან შევიტყობთ.

გიორგი ბურჯანაძე, ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველო”, ადამიანის უფლებების პროგრამის მენეჯერი – საზოგადოების ნებისმიერ ერთეულში არსებულ ძალადობას სჭირდება შესაბამისი პასუხი და რეაგირება. სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ბულინგის გამოწვევასთან ბრძოლა. მისი ეფექტური მართვა და გამკლავება. მაგალითად, დღეს საქართველოში ბულინგის თემაზე არცერთ საჯარო სკოლაში არ მიმდინარეობს არანაირი მუშაობა და შეიძლება მოზარდებს შორის ძალადობაც ამის გამოძახილი იყოს. უფრო ზრდასრული ასაკის ადამიანებს შორის ძალადობის მართვა ცოტა უფრო მეტად რთულია, რადგან მათ არ უნევთ ერთიან სივრცეში ყოფნა, როგორც ეს არის, მაგალითად, ბავშვების შემთხვევაში სკოლა. ზრდასრულებთან მიმართებით აუცილებელია ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მოახდენს ერთის მხრივ, ეფექტურ პრევენციას და, ამავდროულად, შესაძლო დამნაშავე პირებთან განხორციელდება გარკვეული სარეაბილიტაციო აქტივობები.

მაკა სულაშვილი, ჟურნალისტი, საკრებულოს პრეს-მდივანი – ვფიქრობ, რომ ძალადობა, აგრესია, ჩაგვრა, დამცირება და სიძულვილის გამომხატველი ყველა ფორმა არსებობს მას შემდეგ, რაც დედამიწაზე პირველი ცოცხალი არსებები გაჩნდნენ. უბრალოდ, ევოლუციასთან ერთად მათი გამოხატვის ფორმები შეიცვალა. თვითგადარჩენიდან დაწყებული ომი გონებამ გაცილებით საშიში გახადა. დღეს რა გვჭირს, რა დაგვემართა? -პრინციპულად შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ აგრესიამ და სიძულვილმა მოიმატა. თუ მოიმატა, მაშინ რატომ? რა განსაკუთრებული ფონია საამისოდ ქვეყანაში? გასაგებია, რომ არ გვილხინს, მაგრამ რამდენ ქვეყანაშია რეალურად მძიმე სოციალური ფონი და თუნდაც, ომი? ამ ქვეყნებში ეზიზღებათ ერთმანეთი?- რა თქმა უნდა, არა. სიძულვილს გასამრავლებლად ნიადაგი არ სჭირდება, აი, აგრესიის გამოვლენას კი ნამდვილად სჭირდება. ფაქტია, რომ რაღაც გამოგვეპარა, გამოგვრჩა. შედეგად კი საუკეთესო ახალგაზრდები დავკარგეთ... ჩემი აზრით, საქმე მაინც თავისუფლების არასწორად აღქმასა და დაუსჯელობაშია. მე არ ვსაუბრობ მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულებებზე, რომლისთვისაც ადექვატურად თუ არაადექვატურად, ისედაც დაისჯება... მე ვგულისხმობ იმ დანაშაულებებს, რომლებზეც დღეს პასუხი არავის, განსაკუთრებით კი მოზარდ თაობას არ მოეთხოვება, სწორედ თქვენს მიერ ნახსენები ტოტალურად გაზრდილი უფლებების გამო. ამის მიზეზი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. რა თქმა უნდა, არავის ენატრება საკლასო ოთახებში ბუზის გაფრენის ხმის გაგონება ან სულაც მერხებს შორის ჯოხით მოსეირნე მასწავლებლები (თავიანთი მუჯლუგუნებით, განსაკუთრებით ბიჭებზე და განსაკუთრებით,,ოროსნებზე“), მაგრამ არც სასწავლო საათებში ბირჟებზე გამოფენილი გოგო-ბიჭების ღრიანცელი და აგრესიული ტონია სასიამოვნო მოსასმენი. ვფიქრობ, რომ საგანმანათლებლო სისტემის ძირეული რეფორმის შემთხვევაში, რომელსაც დღევანდელი სამთავრობო გუნდი გვპირდება, ამ პრობლემასაც

მიეხედება და ერთხელ და სამუდამოდ დასამარდება მითები დაწესებულებებზე, რომლებიც,,საბლატაოდ“ კი არა, ტვინში რაღაცის ჩასადებად აშენდა. გეთანხმებით, რომ კერძო სკოლებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. არადა, უფლებები მათაც აქვთ, ისინიც კარგი დედიკოს და მამიკოს შვილები არიან და ისინიც დადიან ძვირადღირებული სმარტფონებით (უფრო ძირადღირებულებითაც) და ისინიც ისწავლიან კორნელსა თუ ჰარვარდში, რატომ? იმიტომ, რომ კერძო სკოლები, ყოველ შემთხვევაში, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მაქვს, დისციპლინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. გაკვეთილს ვერ გააცდენს და სკოლის ეზოს ვერ დატოვებს ბავშვი ისე, რომ შესაბამისი შეტყობინება პედაგოგმა და მშობელმა არ მიიღოს. სასწავლო პროგრამისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მშობელი ფულს სწორედ ამაში იხდის... განა ეს ბავშვები თავისუფლები არ არიან? განა ისინი თავისუფალ ქვეყანას ვერ აგვიშენებენ?.. მე არ შემიძლია კონკრეტულად გითხრათ, რა ღონისძიებების გატარება გვჭირდება. მაინცდამაინც, არც საერთაშორისო გამოცდილებას ვიცნობ, მაგრამ დოქტრინები და ზედმეტი ლაპარაკი, ჩემი აზრით, სრულებით არ არის საჭირო. ერთი რამ ცხადია, პრობლემა მხოლოდ ოჯახის, განათლების ან შს სამინისტროს მოსაგვარებელი არ არის, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური მიდგომა. მთავარია, ნება. საქართველოს პრემიერის ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ეს ნება აშკარაა. იმედი მაქვს და მჯერა.

სალომე ნატროშვილი, ექსპერტ-იურისტი – საკმაოდ კომპლექსურ საკითხს შევეხეთ და ალბათ გამიჭირდება ძალადობის მთავარ და გამომდინარე მიზეზებზე სრულად მსჯელობა, მით უფრო, რომ საკითხი საკმაოდ სპეციფიკურია და პირველ ყოვლისა, სპეციალისტების განსჯის საგანი უნდა იყოს. ბუნებრივია, საზოგადოების აზრი უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის გარკვეულ ფონს, სოციალურ გარემოს, თუმცა, ეს პოზიცია მაინც მეორეულია და თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ჩემი მოსაზრება მხოლოდ ზედაპირული გაანალიზების შედეგია და სიღრმისეულობაზე პრეტენზია არ მაქვს.

მოდით, იქიდან დავიწყოთ, რომ ძალადობა ბავშვებს შორის არის ექო ძალადობრივი საზოგადოებირივი განწყობების, რადიკალიზმის, განსხვავებულის კატეგორიული მიუღებლობის და მშვიდობიანი ცხოვრების კულტურის არქონის შედეგი. ამ შედეგს თავისი ისტორიული წინაპირობა აქვს და მასთან ბრძოლა, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს ინდივიდის მიერ საზოგადოების და განსაკუთრებით, ბავშვების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გათვითცნობიერებით. საკვირველი სულაც არ არის, რომ ბავშვები უფრო დაუნდობლები არიან, ვიდრე ზრდასრულები - ეს ბუნებრივია, ბავშვს არ აქვს გამომუშავებული არც მორალური და არც კულტურული ფილტრები, არ ეშინია პასუხისმგებლობის და ვერ იაზრებს მის მიერ ჩადენილის სიმძიმეს, მით უფრო, გრეძლვადიან პერსპექტივაში.

ამიტომ, ზრდასრულ ადამიანებს გვმართებს დიდი ძალისხმევა, ბავშვის ყურადღების არეალში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, აზრი, მოძრაობა აღვიქვათ, როგორც ძალიან შთამბეჭდავი მაგალითი. როგორც კალამი, ინსტრუმენტი, რომლითაც ცარიელ ფურცელზე ვწერთ. ზოგადად, ძალიან მარტივად, ცნობილია, რომ ძალადობის მსხვერპლი ხშირად თავად ხდება მოძალადე. ოჯახი რომ წარმოვიდგინოთ, სურათი ასეთია: ძლიერი(ეკონომიკური და ფსიქიკური გავლენის მქონე) მამაკაცი ძალადობს ქალზე (დედაზე), დედა ბავშვზე, ბავშვი შინაურ ცხოველზე, უფრო სუსტ ბავშვზე და საბოლოოდ ამ უფრო სუსტის მიმართ ძალადობის ჯაჭვი არის მოძალადის თამაში, რომელიც თავად შესაძლოა დამსაქმებლის ძალადობის მსხვერპლია. მაგრამ აქ უნდა ვიყოთ ძალიან სერიოზული ყურადღებით. ზრდასრული ადამიანი პასუხისმგებელია და აქვს უნარი, საკუთარი სტრესი მოაქციოს გარკვეულ ჩარჩოებში და არ აქციოს აგრესიით სავსე დაუცობ ჭურჭლად, იმისთვის, რომ ეს ენერგია არ გახდეს ექსპანსიური და გადამდები. ასე, რომ თუკი ზრდასრულის ძალადობრივ ქმედებებს ვუპოვნით ახსნას, ეს არ ნიშნავს, რომ ვიპოვეთ გამართლება. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული რამაა. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, რომ ასაკის, ფსიქიკური მდგრადობის გათვალისწინებით ვართ პასუხისმგებელნი და ზრდასრული ადამიანის მცდელობა, საკუთარი აგრესია სიდუხჭირით სრულად გაამართლოს, არ არის პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების წევრის დამოკიდებულება, ეს უფრო მეტად, ანარქისტული მიდრეკილებების მქონე, გულგრილი ადამიანის დამოკიდებულებას ჰგავს.

ამავდროულად, მინდა შევეხო ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს – ეკლესიის პასუხისმგებლობას. მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, როგორც განსაკუთრებული ისტორიული როლის მქონე ორგანიზმი, აქვს უდიდესი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში. მე ვფიქრობ, ამ მხრივ, გაცილებით მეტის კეთება შეიძლება. სინათლის შეტანა ცნობიერებაში ცოდნის გარეშე ხომ წარმოუდგენელია, თანამედროვე ადამიანი არ შეიძლება იყოს რიტუალების ამარა, თანამედროვე მორწმუნეს სჭირდება სულიერი განვითარება, ესე იგი, საზრდო, რომელსაც უნდა იღებდეს რეგულარულად. ეკლესიას შეუძლია იყოს ძალიან პრინციპული და მომთხოვნი ძალადობის საწინააღმდეგო განათლების მხარდასაჭერი, სახელმწიფოებრივი იდეალების ჩამოყალიბების საქმეში,რაც ნიშნავს კონსოლიდაციის იდეას, მისწრაფების, მშვიდობის და სიკეთის ირგვლივ. ინდივიდის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების და ორგანიზმების გაერთიანებას „ქუჩის რომანტიზმის“ დასაგმობად, განათლების, როგორც ადამიანის განვითარების ერთადერთი და უალტერნატივო საშუალების დამკვიდრებას, უარს მავნე წარსულზე, აღიარებას და სინანულს არასწორი, მახინჯი ღირებულების გამო.

ლევან ალულიშვილი, პოლიტოლოგი – როდესაც ჩვენი საცხოვრებელი გარემო, სკოლა იქნება ეს, სახლი თუ სხვა საჯარო სივრცე, სავსეაა ძალადობის შემცველი ელემენტებით და უფრო მეტიც, ძალადობის რაღაც ფორმები ნორმადაც კი გვაქვს აღიარებული, როდესაც სასკოლო ლიტერატურაში ფართოდ არის გადმოცემული ძალადობის არაერთი „საგმირო“ სცენა დადებით კონტექსტში, როდესაც ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუციის (მართმადიდებლური ეკლესია) ზოგიერთი წარმომადგენელი ამართლებს ძალადობას და ჩაგვრას სხვა უფრო „მაღალი ღირებულების“ დასაცავად, როდესაც ტელე ეთერები სავსეა სიძულვილის ენით, განსხვავებული აზრის მიუღებლობით და ფიზიკური დაპირისპირებებით, ეს ყველაფერი აისახება მოზარდებზეც, რომელთაც ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, შესუსტებული აქვთ სხვისი უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების ფასეულობად აღქმის უნარი. ეს ყოველივე „კარგ“ ასახვას ნახულობს რომანტიზებულ კრიმინალურ მენტალობაში, რომლის რომანტიზებასაც სხვა ფაქტორებთან ერთად ბევრი ქართული ფილმი თუ მხატვრული ნაწარმოები უწყობს ხელს. ჩემი აზრით, ვერანაირი ახალი „რეპრესიული“ მექანიზმის შემოღება თუ ძველის გაძლიერება ვერ მოაგვარებს ამ პრობლემას. არ მიმაჩნია სწორად, სკოლებზე პოლიციური კონტროლის დამყარება ან მანდატურებისათვის პოლიციისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილების შეთავსება. ამ პრობლემის მოგვარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, განათლების რეფორმა, სწორი სასწავლო პროგრამის შემუშავება ბაღიდან უნივერსიტეტის ჩათვლით, მეტი სპორტი სკოლაში, მეტი მამაკაცი სკოლაში, რადგან სკოლის მოსწავლე ბიჭებს ქუჩაში არ უწევდეთ სირბილი და მორალური ავტორიტეტების ძებნა რჩევის საკითხავად.

რუსუდან ნადირაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი-ბოლო დროს სკოლების ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა მთელი საქართველო შეძრა. ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, ორმაგად სამწუხაროა, რომ ამ საზარელი ფაქტის მონაწილეები მოსწავლეები, ჩვენი აღსაზრდელები არიან. ყველას გვიჩნდება კითხვა, რა არის ბავშვთა სისასტიკის მიზეზი? ხშირ შემთხვევაში, ძალადობა იმიტომ ხდება სკოლებში, რომ არ ვიცით, როგორ აღვზარდოთ ბავშვები სწორად, არც პედაგოგებმა და არც მშობლებმა. სამწუხაროდ, დღეს მოსწავლის უფლებები გაზრდილია, რაც მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილზე ცუდად აისახა. შედეგად კი დღევანდელი რეალობა მივიღეთ. სოციალურმა სიდუხჭირემ ღირებულებები შეცვალა, სხვა საზრუნავი აქვთ მშობლებს. ასევე, პოპულარული გახდა ძიძის ინსტიტუტი. არ არის მეგობრული დამოკიდებულება მშობელსა და შვილებს შორის. ხშირად თავს იჩენს ხიდჩატეხილობის პრობლემა. საზოგადოება, სკოლა და ოჯახი ერთობლივად უნდა ჩაებას ამ პრობლემის მოგვარების საქმეში. ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან ტოლერანტულია აღზრდის ძალადობრივი სტილის მიმართ. მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ აღზრდის ძალადობრივი ფორმები უფრო მისაღებია. რაც შეეხება გამოსავალს, ჩემი აზრით, პირველ რიგში, აქცენტი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე უნდა გავაკეთოთ. სკოლებში ძალადობის შემთხვევებზე განათლების სამინისტრო მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს. მიმაჩნია, რომ მანდატურის ინსტიტუტი არცთუ ისე ეფექტურია, თუმცა, არც მისი ფუნქციების გაზრდასა და გამკაცრებას მივიჩნევ მართებულად. მთელს მსოფლიოში არსებობს მშობლების პოზიტიური სწავლების პროგრამები, სადაც მშობლები იღებენ განათლებას, როგორ აღზარდონ შვილები, ასაკობრივი თავისებურებების დროს როგორი მიდგომა სჭირდებათ ბავშვებს და ა.შ. ყველა სკოლას სჭირდება თავისი ანტიბულინგური პროგრამა. ასევე, აუცილებელია, სკოლას ჰყავდეს ფსიქოლოგი, რომელიც აქტიურად იმუშავებს თითოეულ მოსწავლესთან.

მოამზადა ელზა ხარაშვილმა

ეს უბედურება სილის გალაწუნებად უნდა იქცეს ყველასთვის

არა ბულინგს!

რამდენიმე დღის წინ, ქუჩაში ორი ბიჭუნა ერთ- ერთი ბავშვის დედას გულუბრყვილო თვალებით უყვებოდა, რომ ქალბატონის შვილს გაკვეთილზე ვიღაც ბავშვი აწვალებდა, დედა ჩაეკითხა ყოველივეს შვილის მეგობრებს, შემდეგ თავის შვილს ჰკითხა, სიმართლე იყო ეს ყველაფერი, თუ არა. შვილი ჯიუტად უარყოფდა ამ ფაქტს, მისი მეგობრები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ, ჩვენ რომ არ დავხმარებოდით, ნამდვილად დაჩაგრავდნენო. ორივე ბიჭუნა გულუბრყვილო თვალებით ესაუბრებოდნენ მეგობრის დედას, ორივეს კეთილი თვალები ჰქონდა. შემდეგ გზა ხელგადახვეულებმა ძმაკაცურად გაადგეს, მათთან ფეხდაფეხ მოვდიოდი. ვხედავ, რომ გზაში ერთ-ერთმა სწორედ ის ჩაიდინა, რაც ცოტა ხნის წინ დაგმო, ძმაკაცურად ხელგადახვეულ მეგობარს რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი მუცელში, ბავშვი მოიკეცა, ხელი ისევ გადახვეული აქვს, თუმცა გზადაგზა ისევ მეგობრის მიერ ჩარტყმულ მუშტებს იგერიებს და იტანს. გზიდან ბიჭებისკენ წამოვედი და შენიშვნა მივეცი, რომ ეს არ შეიძლებოდა, თუმცა გზა რომ გააგრძელეს, დავინახე, იგივე გაგრძელდა. აშკარაა, ბავშვებს დაკარგული აქვთ უფროსის მიმართ პატივისცემა და ის, რომ ერთი წუთის წინ შენიშვნა მისცა დედის ასაკის ქალმა, არაფრად ჩააგდო და კვლავ გააგრძელა თავისზე პატარა და სუსტი მეგობრის ჩაგვრა, რომელზეც ვითომდა ძმაკაცურად ხელი ჰქონდა გადახვეული.

ის, რაც ცოტა ხნის წინ თბილისის N51 სკოლაში მოხდა, ამან მთლიანად შოკში ჩააგდო ქართული საზოგადოება. დაზაფრულია დედაქალაქი, დაზაფრულია მთელი საქართველო, დიდი, პატარა, პედაგოგი, მოსწავლე თუ მშობელი. მიმდინარეობს ძიება აღნიშნულ ფაქტზე, ხოლო საზოგადოება სვამს კითხვას, ვის მიუძღვის ამ ყველაფერში ბრალი?! ცხადია, ყველას, რადგან ყველა დედას ჰგონია, რომ კარგ შვილს ზრდის, ყველა პედაგოგი იბრძვის კარგი მოსწავლე აღზარდოს, თუმცა, რამდენადაც არ უნდა ვეცადოთ, კარგად აღვზარდოთ, გამოჩნდება მეორე, ცუდად აღზრდილი და, ადვილი დასაშვებია, მის გარემოცვას ვერ აარიდო შენი კარგად აღზრდილი შვილი. შესაძლოა, მკვლელი სწორედ ბულინგის მსხვერპლი იყო და აფექტურ მდგომარეობაში ისე ჩავარდა, ვერც გააცნობიერა, რა გააკეთა.

რა იწვევს აგრესიას მოზარდებში და როგორ უნდა მოვახდინოთ აგრესიის პრევენცია, ამასთან დაკავშირებით კომენტარები ვთხოვეთ საზოგადეობის სხვადასხვა წარმომადგენლებს, თუმცა მანამდე ფსიქოლოგის, ბესიკ გიგოლაშვილის კომენტარი ჩავწერეთ ამ საკითხის ირგვლივ.

- რა იწვევს აგრესიას და როგორ ახსნას მოუძებნიდი თბილისში ორი არასრულწლოვანის მკვლელობას, როგორც ფსიქოლოგი?

-აგრესია დამკვიდრებულია როგორც ქცევის ერთ-ერთი ელემენტი, მინდა გითხრათ, რომ აგრესიას იწვევს პიროვნებას და საზოგადოებას შორის დარღვეული ბალანსი. პიროვნება თავის თავს იმდენს არ სთხოვს, რამდენსაც მოითხოვს მისგან საზოგადოება. ეს ერთი კომპონენტი. ანგარიშგასაწევია, რომ როდესაც არგუმენტაცია არაა საკმარისი, აგრესიულობაზე მაშინ გადავდივართ. აქ ერთმანეთს ეჯახება გამძაფრებული სურვილი და მოთხოვნილება ადამიანისა, რომ ყველა ძალისხმევის ფასად მიაღწიოს მიზანს და ამ დროს არანაირი შესაძლებლობა პიროვნებას არ გააჩნია, რომ პატიოსანი გზით მოიპოვოს ის. ეს შეეხება არამარტო მატერიალურ მომხვეჭელობას და ასე შემდეგ, ასევე თუნდაც საზოგადოებრივ იმიჯს. ადამიანს აქვს საკმაოდ დიდი მოთხოვნა საკუთარი თავის მიმართ ამბიციურობისა, საზოგადოება იძულებული გახადოს, აღიარებინოს თავისი სტატუსი. ამით საზოგადოება გარკვეულწილად თავს იცავს, რომ მას

არ აღიარებინოს ეს სტატუსი, რადგან საფუძველი არ არსებობს ამის. ამიტომ ეს ადამიანი იძულებულია, რომ

რაღაცა იარაღის ფორმით, ან უკიდურესი გამოვლენით ემოციონალურობით გამოხატოს აგრესია.სამწუხაროდ, ეს ხშირად მთავრდება ძალიან ფატალური შედეგებით.

-გამოითქვა არაერთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უწყობს ხელს ახალგაზრდებში აგრესიის განვითარებას. ეს გახლავთ კომპიუტერული თამაშები, საშიში კინოები, რამაც მაღალ ემოციონალურ ფონზე აიყვანა მათი ნერვული სისტემა, რომ ამაში სკოლაა დამნაშავე, მშობელი, გარემო და ასე შემდეგ. თქვენი მოსაზრება ძალიან საინტერესოა, ვის, ან რას მიუძღვის წვლილი?

-ყველაფერს და ყველას ერთად აღებულს. უპირველეს ყოვლისა კი სახელმწიფოს, რომელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არ მიიღოს აგრესიული მომავალი. საზოგადოების კულტურის დონე იმითაც იზომება, თუ რას დაუხვედრებს ამ ზეგავლენებს. კულტურული ღონისძიებები უნდა შესთავაზოს, ეს ალტერნატიული გზები უნდა მოინახოს და ის უნდა იყოს შედარებით პოზიტიური. იაპონელებმა, 60-იან წლებში, მავნე ზეგავლენა რომ აეცილებინათ, თავისი სკოლა შემოიღეს, რომლებიც იღებდნენ ძალიან ამაღლებულ, ჰუმანურ თემატიკაზე მულტფილმებს, ისეთ მაღალ დონეზეა გადაღებული ეს მულტფილმები, რომ უფროსიც სიამოვნებით უყურებდა, ასეთივე მეთოდი იყო დამკვიდრებული საფრანგეთშიც. საგანმანათლებლო პროგრამაში ერთ- ერთი იდეოლოგიური ასეთი დატვირთვის მქონე პროექტი, რომელიც ჩაანაცვლებს ჩვენთან შემოსულ აგრესიულ კომპიუტერულ თამაშებს, უპრიანი იქნებოდა. ჩვენ დღეს, საუბედუროდ, ასეთ პოზიტიურ მასაალას ვერ ვაწვდით ბავშვებს. ბავშვი რას ხედავს?- დილიდან საღამომდე ხედავს,რაღაც ფარული ძალადობის ფორმის ვითომდა მულტფილმებს, რომელშიც ძალიან საშინელი მელნისფერსახიანი და ლურჯკბილებიანი, შავხელებიანი გმირები გამოდიან. მერე ამ ბავშვს რამე ასეთი გმირები ელანდება და მთელი ღამე ბორგავს, ხელებს იქნევს. შედეგად ჩვენ ვიღებთ ძალიან დასტრესილ თაობებს, სახელმწიფომ ასეთი კინოები და მულტფილმები უნდა წაშალოს და არ გაუწიოს პროპაგანდა საშიშს.

-როგორ მოიქცეს საზოგადოება, მშობელი, მოსწავლე და პედაგოგი, იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ აგრესია?

-ერთადერთი მეთოდია, რომ პოზიტიური მიმართულება მივცეთ ყველაფერს. მან უნდა იზეიმოს არა თავისი ნეგატიური გამარჯვებები და დამარცხებები, არამედ, თავისი პოზიტიური მიღწევებით უნდა იყოს ორიენტირებული. პოზიტიური მიმართებით უნდა იყოს სხვასთან. ნელ-ნელა ბავშვებმა ეს უნდა ჩამოიყალობონ წესად, ის კი არ უნდა აქციონ მთავარ მენტალობად, რამდენი ბავშვი დაამარცხა და რამდენს აჯობა და ამითი იყნენ კმაყოფილები. არამედ, რამდენჯერ გაამარჯვებინა სხვას, ამაზე უნდა იყოს მომართული. თუმცა, ეს ერთმა და ორმა ოჯახმა არ უნდა ასწავლოს, ყველამ უნდა ასწავლოს.

-თქვენი აზრით, 51 საჯარო სკოლაში განვითარებული მოვლენის გახმაურების შემდეგ, რა სიტყვებით გააცილა თითოეულმა დედამ დილით შვილი სკოლაში?

-ალბათ, უმეტესობამ დაარიგა, რომ ფრთხილად იყავიო, პასიური მიდგომაა მაინც . იქ დანის გამოყენებისას რომ შერცხვენოდა თავის მეგობრების მოძალადეს, ეს ხომ აღარ მოხდებოდა?! ხშირად ჩვენ ვუკეთებთ პროვოცირებას ასეთ რამეს მეტი სიმძაფრით. რატომ არ გამოჩნდა ორი, ან სამი ადამიანი, რომელიც ეტყოდა იმ ბავშვებს, რომ რას აკეთებ, ეს არ შეიძლებაო. შეიძლება იქ ძალიან ბანალურზე იყო საუბარი, მაგრამ თვითდამკვიდრებისთვის ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია, არც ზნეობრივი, არც ფსიქოლოგიური, არც სოციალური, არც საზოგადოებრივი, ამიტომ იყენებდა იარაღს. საუბედუროდ, ქართველებს გვახასიათებს ეს, ძალიან დიდი უბედურება რომ მოხდება ხოლმე, მერე მოვდივართ გონზე. ეს უბედურება, სილის გალაწუნებად უნდა იქცეს ყველასთვის. იქ ანთებული სანთლები გარდაცვლილ ბავშვებს ვეღარაფერს უშველის, მაგრამ გამოაფხიზლებს ერს. ჩვენი საზოგადოება ორიენტირებულია უარყოფით მიღწევებზე. უნდა გადავერთოთ დადებით მიღწევებზე. ეს უნდა გამომჟღავნდეს ყოველდღიურობაშიც და მუდმივად.

რას ფიქრობენ აგრესიასა და მისი თავიდან აცილების გზებზე ადამიანები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები, მოსწავლეები, პედაგოგები?

ქრისტინა ბოჭორიშვილი, მოსწავლე: საჭიროა ფსიქოსოციალური მომსახურების გაუმჯობესება თვითონ სკოლებში და სკოლებს გარეთ, ეს ერთ-ერთი მთავარი პრევენციული ნაბიჯია, რამდენადაც ბავშვს მუდმივად დახმარება და რეაბილიტაცია სჭირდება; მასთან მეტი მუშაობა და მუდმივი ჩართულობაა საჭირო და ეს სპეციალისტთა გუნდის მიერ უნდა იყოს განხორციელებული. ამ მიდგომას ყველაზე ეფექტური შედეგი ექნება და ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს მისი სოციალური გარემო, მშობლები, მთლიანად საზოგადოება იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიკვეთება ეს საჭიროება კონკრეტული მუშაობის პროცესში.

ლალი ინაშვილი, პედაგოგი, ფილოლოგი: „დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ჩვენ, სკოლას, პედაგოგებს, მგონია, რომ ჩვენს სკოლაში არ უნდა იყოს ასეთი ბავშვი, მაგრამ არ ვიცით, რა ხდება რეალურად. კონტროლი გამკაცრდა, ახლო კავშირი გვაქვს უფრო მანდატურებთან, ბავშვი რომ დაგვეთხოვება, აუცილებლად ვეუბნებით მანდატურს, რომ დაგვეთხოვა და მიაქციოს ყურადღება, ვიცით, არასაიმედოები ვინც არიან, მათ მეტ ყურადღებას ვაქცევთ, თუმცა არასაიმედონი ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ დამღა აქვთ მიკერებული. არ შევსწრებივარ, რომ ორი ან მეტი ბავშვი დასცინოდეს ერთს. კლასში ვატარებთ კლასის საათებს სიყვარულსა და მეგობრობაზე, არგუმენტებით, რა თქმა უნდა, ჩემი საგანი, მით უმეტეს, მაძლევს ყოველთვის ამის საშუალებას.

ხათუნა გარსევანიშვილი, მშობელი: „გული გახეთქვაზე მაქვს, ვერ ვხვდები, როგორ იბადებიან ესეთი ადამიანები, სად შეიძლება მშობელმა დაუშვას შეცდომა შვილის აღზრდაში. ერთმანეთის გვერდში დგომით და უფლის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება.

თეა ხარაშვილი, ეკონომისტი, - „რა თქმა უნდა, პირველ რიგში ოჯახურ გარემოს აქვს მნიშვნელობა. იმ ოჯახში, სადაც შვილის მიმართ ყურადღება მშობლისთვის პრიორიტეტია, სადაც სიკეთე და სიყვარული სუფევს, როგორ შეიძლება ასეთ გარემოში ბავშვი მოძალადედ ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება მასწავლებელს, ბავშვს ოჯახური გარემო უნდა შეუქმნას და თავისი საქციელით მაგალითის მიმცემი უნდა იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კიდევ, ცუდი არ იქნებოდა, სკოლებში რელიგია, როგორც საგანი დაეშვათ. იმ საზოგადოებაში,სადაც კანონი არ კანონობს, იქ, სადაც კანონის წინაშე თანასწორი არ არის ყველა, მუდამ იქნება ეს პრობლემა.“

ბიჭიკო მეხრიშვილი, 70 წლის: „უკვე რა ხანია, ვატყობ მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, ყველას დაავიწყა დღევანდელობამ, ვის რა როლი აქვს ცხოვრებაში და ვის რა მოეთხოვება. შვიდი წელი ვისწავლე სკოლაში, სულ ექვსი მასწავლებელი გვყავდა, მაგრამ იმ ექვს მასწავლებელს არაფერი გამოეპარებოდა ჩვენი გულისტკივილი და რაიმე არასწორი. ეხლა 40 მასწავლებელია სკოლაში და ბავშვებისთვის ვერ მიუხედიათ წესიერად. მძღოლი კაცი ვიყავი მთელი ცხოვრება, ერთი კვირა ბავშვები მომაბარონ, თუ მეგობრობა და ერთმანეთის სიყვარული არ ვასწავლო მათ, ნახავთ. ბავშვმა მასწავლებელს ან მშობელს სიტყვა როგორ უნდა შეუბრუნოს, რა უფლება აქვს მოსწავლეს ,მასწავლებლის ერთი სიტყვა არ გაიგონოს და მეორედ გაამეორებინოს. სოფელში მასწავლებელი რომ გამოივლიდა ხოლმე, ის იმხელა ავტორიტეტი იყო ყველასთვის, ისეთი რიდი და პატივისცემა გვქონდა, თავს მაღლა ძლივს ავწევდით და გამარჯობას ძლივს შევკადრებდით, სამების ტყეში გავიქცეოდით ხოლმე ლამის და იქ შევაფარებდით თავს- მასწავლებელი მოდისო, ისე გვერიდებოდა. მისთვის შენიშვნის მისაცემი საქციელი რომ გაგვეკეთებინა, მეორე დღით თავი სადღა უნდა გამოგვეყო. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქეიფობენ, კაფეებში დადიან და მეტსაც გეტყვით, ცეკვავენ ხოლმე თავის მოსწავლეებთან კიდეც. ყველაფერი გააუბრალოვეს, ყველაფერი გააიაფეს. ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ ქართველები ვართ, მთლად რომ დავივიწყეთ ჩვენი ტრადიციები, განა ვერ ატყობთ, ნუ გადავაგდებთ სანაგვეზე ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას, ნუ გვეთაკილება ჩვენი ტრადიციების შენარჩუნება.

დარწმუნებული ვარ, ამ ინციდენტის დაწყებამდე სკოლაში ერთი პედაგოგი, ერთი მოსწავლე, ერთი მანდატური, ვინმე რამე საეჭვო ერთ სიტყვას, ერთ რეპლიკას მაინც გაიგებდა და შეატყობდა, გამორიცხული იყო, რომ ამდენ ადამიანში არავის არაფერი შეემჩნია, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია და გულგრილობა გამოიჩინა ყველამ. ეხლა ირტყამენ თავში ხელს. გვიანია”.

ხათუნა ფერაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი: „რა გითხრათ აბა? რაც ხდება, ესაა საზოგადოების ცხოვრების წესის ანარეკლი! ძალიან მწარეა, სული მტკივა, რასაც ვუყურებ, ეს ყველას გვეხება! ოჯახებიდან უნდა მიეხედოს ამ პრობლემას, სკოლები ხომ ბუნაგია ბულინგის და ძალადობის მხრივ, არ ვიცი, არ ვიცი, ძალიან შეწუხებული ვარ ამ ყველაფრით!“

ნატო ოთარაშვილი, ფილოლოგი: „უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს ჩემი აზრით. კაცთმოყვარე ადამიანად უნდა ჩამოყალიბდეს ოჯახში და ქონდეს კეთილზნეობრივი გარემო (მაგალითს მშობლები უნდა აძლევდნენ საქმით, რადგან მაგალითის ძალა განუზომელია). ამის შემდეგ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას და ეკლესიას. სამწუხაროდ დღეს ბავშვისთვის პედაგოგი აღარ არის ავტორიტეტი, არასწორადაა გადანაწილებული უფლებამოვალეობები. მოკლედ, სათავეა გასაწმენდი.

ხათუნა პაიჭაძე, გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი: „რაც არ უნდა ვქნათ ,მაგას ვერასდროს ავირიდებთ თავიდან. ძალადობა იყო, არის და იქნება... ადამიანის ბუნებაა ასეთი...ეს „რაზბორკები“ სულ იყო , ახლაც არის და სულ რომ ყირაზე დავდგეთ, მომავალშიც იქნება...

თან ეს ისეთი ასაკია, გაუცნობიერებელი ქმედებებით და მხოლოდ იმპულსებს აყოლილი ბავშვებით. გაუცნობიერებელი ბრძოლა თავის დამკვიდრებისთვის, რომელიც რა შედეგით დასრულდება, ამაზე გარწმუნებთ, ამ ასაკში არ ფიქრობენ.“

იმედს ვიტოვებთ, რომ მომხდარი ქართული საზოგადოების გამოსაფხიზლებლად საკმარისი აღმოჩნდება და ყველა ერთად ვიზრუნებთ, გავზარდოთ კაცთმოყვარე, და არა ცინიკოსი და მოზალადე ახალგაზრდები.

ლალი მეხრიშვილი

1959 WLIS DEKEMBERI

o SIRAQIS GZAZE UFASO MGZAVRULI MASAJI GELIT. AMASWINAT MGZAVREBIT SAVSE AVTOBUSIT QEDEBISKEN AVIRET GEZI. MOASFALTEBULI GZA 10 WUTS GVEYO, SEMDEG KI AXALI PEIZAJI GADAISALA. WYLIS GUBUREBI DA QVISIS KONUSEBI ELVAREBDNEN. AVTOBUSMA TIKANIVIT XTOMA DAIWYO. FRTXILOBS MZROLI, MAGRAM RAS GAXDEBA? ARARC MAXSOVS, RAMDENJER GAMOVICVALE SAJDOMADGILI. UCEB SOFERMA SAWES TAVI DAAXALA, MAGRAM MALE GAMOERKVA DA ABIBINEBULI JEJILSI GADAUXVIA. BEVRMA MGZAVRULMASAJS VER GAUZLO DA CAVIDA AVTOBUSIDAN ROGORC IYO CAVEDIT ZEMO QEDSI. GADALASLASEBULMA MGZAVREBMA MIWAZE FEXI ROM DAVDGIT, YVELAFERI DATRIALDA, MTELS ORGANIZMSI TKIVILEBI IGRZNOBODA. AM WERILIS PASUXAD WITELWYAROS SAGZAO GANYOFILEBIS GAMGE R. GURASVILI GVWERS, ROM FAQTEBI SWORIA DA GZIS SEKETEBA 1960 WLISTVISAA GATVALISWINEBULI. GZAZE QVISIS KONUSEBIS GASWOREBAS KI AM DREEBSI DAVIWYEBTO.

o GASUL WELS DAMTAVRDA ELEQTROGAYVANILOBIS SIGASAMUSAOEBI QVEMO QEDIS SKOLASI, MAGRAM SENOBASI ELEQTROXAZIJERAC AR ARIS SEERTEBULI. AMITOM SOFLIS SARAMOS SASUALO SKOLAS MECADINEOBA UXDEBA MBJUTAV NAVTIS LAMPEBZE. ES KI UARYOFIT GAVLENAS AXDENS SWAVLISXARISXZE. SKOLAS LABORATORIEBSI PRAQTIKULI MUSAOBISTVIS ESAWIROEBA DENI.

o REDAQCIAM MAMXILEBELI WERILI MIIRO, SATAURIT `MEPAIEEBS PATIVS AR SCEMEN~. KORESPONDENTI V. BAGALISVILI GVWERDA: `WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS SRULPAIANI WEVRI VAR, MAGRAM AM DREEBSI MARAZIIS GAMYIDVELMA K. TARYASVILMA SAPAIO GAMOSAREBIS GARESE MATERIA AR GAMATANA, RAC ARASWORIA~. REDAQCIAM WERILI ZOMEBIS MISAREBAD GADAUGZAVNA KOOPERATIVIS GAMGEOBAS. TAVMJDOMARE O. DATUKISVILI GVWERS, ROM GAMYIDVELI ARAOBIEQTURAD MOQCEULA, RADGAN BAGALISVILS SETANILI AQVS 302 MANETI DA PAIS GARESE UFLEBA AQVS IVAWROS. GARDA AMISA, ES MOPAIE 1958 WLIS MOGEBIDAN ANARICXEBS MIIREBS IMIS SEMDEG, ROCA KOOPERATIVI CAATAREBS MEPAIEEBIS PEREREGISTRACIAS.

o AR IQNA DA AR ESVELA QEDEBIS MCXOVREBLEBS. PRESASIC ARAERTXEL GAMOTQVES GULISWYROMA, MAGRAM ALAZNIS WYALSAQACI SANAXEVRODAC AR AKMAYOFILEBS MSROMELTA MOTXOVNAS. AMITOM QVEMOQEDELMA AXALGAZRDEBMA SAIRI SETXZES DA XSIRAD MRERIAN:

`ALAZANIS WYALSADENSA
RARAD UNDA QEBA,
SAQACIDAN WYALS USVEBEN,
SUA GZAZE DGEBA.
TU ROGORME SOFLAMDISIN
WYALMA IWYO DENA,
QALI KACSA GADASZAXEBS
MOGVEXMARET CENA.
WYLIS MARAGIS SEQMNISATVIS
WYALZE GARBIS YVELA -
WYALI BEVRI MOVITANOT
XVALAC GVEYOS, ZEGAC...
VEDROEBI, XIS KASREBI -
XMAURIA YVELGAN,
SANAM WYALTAN MIVIDODNEN,
WYALI UJVE QREBA,
WYALSADENIS MESVEUREBS
AR AWUXEBT ESA~...

o RAIONIS SAVAWRO MARAZIEBSI AR ISOVEBA PIRVELI MOTXOVNILEBIS SAQONELI. XSIRAD ADGILI AQVS PAPIROSIT WYVETIL VAWROBAS. WITELWYAROSA DA QEDIS ZONEBSI AR ISOVEBA AXALI, KARGI XARISXIS PAPIROSEBI, TU SADME SEMORCENILIA, ISIC DAOBEBULIA. ISVIATAD WAAWYDEBIT SUFRIS MARILS DA LILAS. RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBAM QMEDITI ZOMEBI UNDA MIIROS, RATA MARAZIEBSI MUDMIVAD IMYOFEBODES SAWIRO SAQONELI. KOOPKAVSIRIS GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI LORTQIFANIZE GVATYOBINEBS, ROM MIREBULIA ZOMEBI, XOLO PAPIROSI UKVE SAKMAO ODENOBITAA SEMOZIDULI.

1965 WLIS DEKEMBERI

o LOTOBA DANASAULIS MTAVARI WYAROA. SOFEL GAMARJVEBASI MCXOVREBMA MTVRALMA BIZINA NAROZAULMA MEZROXEOBIS FERMASI GAUFRTXILEBLOBIT MOKLA MOWINAVE MWVELAVI BABALE NAROZAULI. QALAQ WITELWYAROSI LOTOBAS GADAYOLILMA A. BIWIASVILMA AAWIOKA TAVISI OJAXI DA MTELI RAMIS GANMAVLOBASI MEZOBLEBS AR MISCA MOSVENEBIS SASUALEBA. ASEVE, IVLISIS TVESI SOFLIS ARBOSIKSI, OJAXISGAN GATAMAMEBULMA OMARANALADASVILMA, ROMELSAC LOTOBA DA DANIS XMAREBA XELOBAD HQONDA, MTVRALMA SCEMA SAKUTAR MAMAS, MOKLA MOQALAQE B. LAMAZOSVILI DA SXEULIS MZIME DAZIANEBA MIAYENA B. MACABLISVILS. ASEVE, SOFEL WITELWYAROSI MTVRALMA M. IAGETICMA MKVLELOBIS MIZNIT ORI MOQALAQE DASWRA, RIS GAMOC SASAMARTLOM 10 WLIT PATIMROBA MIUSAJA. J. BENASVILMA, ROMELIC NASVAMI MARTAVDA AVTOMOBILS, SOF. JAFARIZESI IMSXVERPLAJRAMAIZE DA SEMTXVEVIS ADGILIDAN MIIMALA G. ZURIKASVILIC MTVRAL MDGOMAREOBASI MARTAVDA MANQANAS, ROMELIC MARCXENA MXARES XEVSI GADAVARDA. ADGILZE GARDAICVALA E. MARTIASVILI, DANARCENEBMA SXEULIS DAZIANEBA MIIRES. WELS MOMXDARI 18 AVARIIDAN, YVELA SIMTVRALES UKAVSIRDEBA.

o ZEMO QEDSI MCXOVREBI STEFANE AFCIAURI ARAVITAR SAZOGADOEBRIV SROMAS AR EWEODA DA XSIRAD USIAMOVNEBAS AYENEBDA MEZOBLEBS. 6 DEKEMBERS, ROCA IGI QUCASI MEZOBLEBTAN ERTAD IMYOFEBODA, MASTAN MIVIDA MEZOBELI LUKA UZILAURI, ROMELMAC TXOVNIT SEAXSENA VALIS GADAXDA. AFCIAURMA ZALIAN IWYINA. MAN DA MISMA MEURLEM UZILAURS UCENZURO SITYVEBIT DAUWYES GINEBA. MEZOBLEBI DAWYNAREBAS CDILOBDNEN, MAGRAM AMAOD. GINEBIT AR DAKMAYOFILDA DADANA DAARTYA, RIS GAMOC UZILAURMA SXEULIS MZIME DAZIANEBA MIIRO. N. AFCIAURI POLICIAM DAAPATIMRA.

o MSAJI GAIOZ DURISVILI MTVRAL MDGOMAREOBASI MSAJOBDA TAVISUFAL WIDAOBASI WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS SPORTUL DARBAZSI PIRVELOBAZE CATAREBUL SEJIBREBAS. NASVAMI MSAJI SEURACXYOFAS AYENEBDA ROGORC MONAWILEEBS, ISE MSAJEBS. ES INFORMACIA CVENI GAZETIS FURCLEBZE DAIBEWDA, RASAC GAMOXMAUREBA MOHYVA. ROGORC `KOLMEURNES~ RAISABWOS TAVMJDOMARE P. PATATISVILI GVATYOBINEBS, SAQME GANIXILES PREZIDIUMIS SXDOMAZE. DURISVILS AEKRZALA MSAJOBA ERTI WLIT YOVELGVAR SEJIBREBAZE DA GAMOECXADA MKACRI SAYVEDURI.

o `AMASWINAT, ME DA CEMI MEURLE SAMSAXURSI VIYAVIT. SIN MOXUCI DEDA DA ORI SKOLAMDELI SVILI IYO. MOXUCI GARET GASULIYO, BAVSVEBS KI UTO CAERTOT DA SAWOLZE DAEDOT. ROCA UTO GAXURDA, SAWOLS CECXLI MOEDO, UFROSMA GOGOM IYVIRA DA XELI GATITVLEBUL DAMWVAR SNURS MOAVLO. ELEQTROSADENMA XELI DAUKRUNCXA DA SNURS MIAKRA. UMCROSI KI SISISGAN GARET GAVARDA. BAVSVIS YVIRILI SEMTXVEVIT GAIONA WULUKIZIS SOFLIS MEURNEOBIS MEQANIZACIISA DA ELEQTROFIKACIIS TEQNIKUMIS MEOTXE KURSIS MOSWAVLEM USANGI WYARUASVILMA SWRAFAD SEVARDA SAXLSI, GADAWRA CECXLI MOKIDEBULI SADENI DA CECXLI CAAQRO. ASE GADAARCINA BAVSVI DA SAXLI DAWVISGAN.~ GVWERS MKITXVELI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ს პ ო რ ტ ი

2017 წლის 28-29 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს თასის ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდში, ამოწევა- წოლჭიმში და ჩაჯდომში -GPA და IPO -ს ვერსიით. ამ დიდ ტურნირზე (200 სპორტსმენი მონაწილეობდა) მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს სამჭიდელთა კლუბმა „ლეგიონმა“ 12 სპორტსმენის რაოდენობით. გუნდი შეჯიბრისათვის დაფინანსდა რაიონის გამგეობიდან და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობისაგან, რაზეც დიდ მადლობას ვუხდით თანადგომისათვის და მხარდაჭერისათვის სოლომონ ღორაშვილს და ავთანდილ ხუმარაშვილს.

გუნდმა კვლავ თავი ისახელა და კვლავ პირველი ადგილი მოხსნა გუნდურ პირველობაში ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის (10-23 წლამდე) სპორტსმენებს შორის.

კვლავ შეუდარებელი იყო ოთხეული – ნუკრი ქოზაშვილი - 2 ოქრო, სამჭიდში და ამოწევაში, ნუკრიმ- 110 კგ. ამოწია და მიუხედავად იმისა, რომ 52 კგ კატეგორიაში გავიდა, მოწინააღმდეგები ადვილად დაამარცხა (დიდი უპირატესობით) სამჭიდში - 237 კგ დააგროვა და აქაც არავის დაუტოვა შანსი. ღირსეული გამოსვლა ჰქონდათ ლადო ტუხაშვილს (11 წ. 38 კგ. 1 და 2 ადგილი) და ანრი ყარაულაშვილს 1 და 2 ადგილი (12 წ.-40 კგ.), რომლებიც აგრეთვე 52 კგ წონით კატეგორიაში გამოვიდნენ და მხოლოდ ნუკრისთან პაექრობაში დამარცხდნენ. (ამ წონაში 8 ბავშვი მონაწილეობდა) პირველი ადგილი დაიკავა ზუკა ნიპომნიშევმა - (13 წ. 50 კგ), ესეც 52 კგ კატეგორიაში გამოვიდა-სამჭიდში -225 გ დააგროვა - ეს პატარა ოთხეული გამოკვეთილი ლიდერია და საქართველოში და ევროპა-მსოფლიო მასშტაბითაც ტოლი არა ჰყავთ. ამას დანახვა და დაფასება უნდა.. ეს ოთხეული მსოფლიო ჩემპიონები არიან და რაიონის და საქართველოს სახელი ბევჯერ ასახელეს და ასახელებენ კიდევ მრავალჯერ. სამი პირველი ადგილით გვასახელა მიშიკო ზუბიაშვილმა (14 წ. 60 კგ.), რომელმაც მოტეხილი ფეხის შიუხედავად, საქართველოს რეკორდები მოხსნა -75 კგ ჟიმი და 135 კგ ამოწევა. მიშიკოს მსოფლიო რეკორდებიც აქვს მოხსნილი – 145 ამოწევა და 130 კგ ჩაჯდომი და 80 კგ ჟიმი, მაგრამ ტრამვების გამო თავი შევიკავეთ ძალიან კარგად იასპარეზა ახალბედა ვარდიშვილმა თედომ (16 წ. 60 კგ) ჟიმი 80 კგ და ამოწევა 165 კგ და I და II ადგილები დაიკავა. ამოწევაში მსოფლიო ჩემპიონთან კვანტალიანთან დამარცხდა, რომელმაც - 185 კგ ამოწია. მაგრამ ძალიან დიდი ბალანსი აქვს და ამას დაამტკიცებს კიდეც.

ძალიან კარგად და თავდაჯერებულად იასპარეზეს ვალერი ჯავახიშვილმა - ამოწევა-180 კგ (16 წ. 73 კგ) 1 ადგილი და ვასიკო ჩივაძემ (20 წ. -60 კგ.) ორი 1 ადგილი ჟიმი- 95 კგ და 175 კგ ამოწევა. ორივე ამ სპორტსმენს დიდი მომავალი აქვს და სათანადო ყურადღება სჭირდებათ. ძალიან კარგი შედეგები მოხსნა კიდევ ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ ეშფინ მუსტაფაევმა (65 კგ 16 წ.) ორი 1 და ერთი 2 ადგილი – ჟიმი 97 წ. კგ. ამოწევა 175 კგ და ორჭიდის - 272,5 კგ დააგროვა. ამ სპორტსმენსაც დიდი მომავალი აქვს. პირველი ადგილები უიმი და ამოწევა აიღო ელთაჯი ისკანდეროვმა - 16 წ 52 — 65 კგ - ჟიმი და120 კგ ამოწევა. ესეც ახალბედაა და კარგი სპორტსმენია, მეგობრული და გამტანი.

პირველი ადგილით გვასახელა გია შავშიაშვილმაც- ჟიმი -110 კგ 17 წ. ტრავმის მიუხედავად გიამ უკან არ დაიხია და ვაჟკაცურად იბრძოლა გამარჯვებისთვის. გიას 130 კგ აქვს დაფიქსირებული, მაგრამ აქ მეტზე აღარ გავუშვით..

და ბოლოს, ქამილან ისმაილოვმა ორი პირველი ადგილი (25 წ 66 კგ.) ჟიმი -100 კგ. და ამოწევა 185 კგ. დააბოლოვა გუნდის გამოსვლა. ქამილანი მსოფლიო ჩემპიონიც არის და სხვა სპორტსმენებთან ერთად ემზადება აპრილის ევროპის ჩემპიონისათვის, რომელიც თბილისში გაიმართება.. ასე დაასრულა კლუბმა „ლეგიონმა“ 2017 წლის სეზონი – 19 ოქრო და 4 ვერცხლის მედლებით. საერთო ჯამში 2017 წელს გუნდმა 5 დიდი შეჯიბრი ჩაატარა და დიდ წარმატებებს მიაღწია- გვყავს საქართველოს, ევროპის, სართაშორისო და მსოფლიო ჩემპიონები და საქართველოს თასის მფლობელები- გუნდმა 4 ჯერ ზედიზედ მოიპოვა გუნდური პირველი ადგილი ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის და საქართველოში ღირსეულად ლიდერობს სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში, რაც რაიონის დიდი სიამაყეა. გთავაზობთ იმ ბიჭების სიას, რომლებმაც რაიონი და საქართველო ასახელეს: ნუკრი ქოზაშვილი, ლადო ტუხაშვილი, ანრი ყარაულაშვილი, ზუკა ნიპომნიშევი, მიშიკო ზუბიაშვილი, ოთარ გავაშელაშვილი, ილო მოსეშვილი, თედო ვარდიშვილი, ბესიკ ყოჩიაშვილი, ეშვინ მუსტაფაევი, ქამილან ისმაილოვი, ვალერი ჯავახიშვილი, გია შავშიაშვილი, ვასიკო ჩივაძე, ნიკა ბენაშვილი, ელთაჯი ისკანდეროვი, გიორგი ხუციშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ილო ლაპიაშვილი და გიორგი გულიაშვილი.

მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი

5 მოკრივე საქართველოს ჩემპიონი გახდა

დასრულდა 2017 წლის საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში. მართლაც, რომ გამორჩეულად ლამაზი და ტექნიკური ორთაბრძოლები გაიმართა ქ.თბილისის სპორტკომპლექს „არენაში“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ფედერაციის სპორტსმენების მომზადების დონე იზრდება და ვითარდება.

ორდღიანი უშელავათო ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ 2017 წლის საქართველოს ჩემპიონები: გიორგი შაინიძე, გიორგი ღვედაშვილი, გიორგი გონაშვილი, მალხაზ ჯაგაშვილი და ლევან წიკლაური.

საპრიზო ადგილები მოიპოვეს: **მიშა ბაღდასარიანმა, ლევან ზვიადაურმა, გაგა არაბულმა, ლუკა ცისკარაულმა, მიკოლა დენისენკომ** და **ამარან ქიბიშაურმა.**

ჩემპიონატზე მონაწილეობას ასევე ღებულობდნენ აზერბაიჯანის და სომხეთის ნაკრები გუნდები. დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ სპორტსმენებმა ჯამში მოიპოვეს: 5 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

შეჯიბრის დასრულების შემდეგ გაიმართა საზეიმო დაჯილდოვება. ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ საპრიზო ადგილებზე გასული კიკბოქსინგელები მედლებით, სიგელებით, ფულადი ჯილდოებით და სპორტული აღჭურვილობით დააჯილდოვა.

„სასიხარულოა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის კიკბოქსინგის გუნდმა შთამბეჭდავი გამარვება მოიპოვა, მადლობას ვუხდით ამავე ცენტრის დირექტორს ბატონ ავთანდილ ხუმარაშვილს დახმარებისთვის და მხარდაჭერისთვის“ - აღნიშნავს მწვრთნელი, თამაზ ყარაგვეზაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

სოფელ სამრეკლოში სერაფიმე საროველის სახელობის დედათა მონასტერი გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში დედათა მონასტერი დაფუძნდა. წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში დედათა მონასტრის შექმნა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ 4 დეკემბერს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე აკურთხა. საზეიმო წირვას ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებაც დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი დედათა მონასტერია ეპარქიაში. ეპარქიის გადაწყვეტილებით, დედათა მონასტრის წინამძღვრად მონაზონი სერაფიმა დაადგინეს. ხოლო ტაძრისა და მრევლის წინამძღოლი კვლავაც დეკანოზი გაბრიელ ბენიაიძე იქნება.

მონასტრის ეზოში კელიების მშენებლობა მიმდინარეობს, მის დასრულებამდე დედები ტაძრის მახლობლად მდებარე სახლში იცხოვრებენ. ისინი ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების დამზადებას ამჯერად სოფელ სამრეკლოში გააგრძელებენ. აქ პირველ ეტაპზე ორი მონაზონი და ერთი მორჩილი იმოღვაწეებს. ახლო მომავალში კიდევ ერთი დედათა მონასტრის გახსნა სოფელ მირზაანშიც იგეგმება.

„რაღა თქმა უნდა, ეს ისტორიული მოვლენაა. იცით, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ უქმდება პირველი თორმეტთაგანი ეპარქიიდან ერთ-ერთი ხორნაბუჯის ეპარქია. მას შემდეგ არცერთი მონასტერი აღარ არსებობს. ჩვენს ეპარქიაში მამათა მონასტერი რამოდენიმეა, დედათა კი, ჯერ-ჯერობით, პირველი. წირვა-ლოცვა, ტრადიციულად, ყოველ შაბათ-კვირას ჩატარდება. შაბათს – მიცვალებულთა პანაშვიდი და ლოცვა. ხოლო, კვირას – წირვა. ასევე დღესასწაულებზე, რა თქმა უნდა, წირვა-ლოცვა აღევლინება. მონასტრის წესგანგებას დედაო უკეთ მოგახსენებთ. ძნელი სათქმელია, როდის დასრულდება ეზოში საცხოვრისი კელიების მშენებლობა. არის მცირედი შემოწირულობა მოსახლეობისგან, მაგრამ ამისთვის ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. კეთილი ადამიანების შეწევნით, იმედია, დროზე ადრე დავასრულებთ პროცესს, “ – აღნიშნავს ჩვენთან საუბარში დეკანოზი გაბრიელ ბენიაიძე.

სოფელ სამრეკლოში ღირსი სერაფიმე საროველის სახელობის XIX საუკუნის ტაძარს რესტავრაცია ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა. ხელახლა აშენდა გუმბათი, გამაგრდა და შეილესა დაბზარული კედლები. განახლებული ტაძარი 2012 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს. მანამდე სოფელ სამრეკლოს მოქმედი ეკლესია მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ ჰქონდა.

ილია მარტყოფლიშვილი

15 ოქროს მედალოსანი დედოფლისწყაროდან

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, 2016—2017 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სია გამოაქვეყნა. მათ შორისაა რეგიონების მონაცემებიც. სამინისტროს ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ოქროს მედალოსანი 15 მოსწავლეა, ორმა კი ვერცხლის მედალი მიიღო. წარმატებულ სკოლებს შორის მოხვდნენ ქალაქი დედოფლისწყარო და სოფლები: ზემო მაჩხაანი, არბოშიკი, ზემო ქედი, სამრეკლო და ქვემო ქედი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლა – **სალომე ალადაშვილი.**

სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა – **ვალერი ბატიაშვილი; თამარ ჭილიტაშვილი; ნინო ბოლოთაშვილი.**

სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა – **დიანა ბუქური; მარიამ ღუდუშაური; გურანდა გუდაშვილი; ქეთევან ხუციშვილი.**

სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა – **გოდერძი სიმონიძე; დავით ბოსტოღანაშვილი; თამარ ალადაშვილი.**

სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა – **თამარ კაიშაური.**

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა – **ალექსანდრე ჯანიაშვილი; გიორგი ვარდიაშვილი; თინათინ ბაკაშვილი.**

ვერცხლის მედალოსანი ორი მოსწავლე გახდა. სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლიდან – **ფატი ნატროშვილი** და სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლიდან – **სალომე ჭინჭარაული**.

რაც შეეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტს, 34 ოქროს, 11 კი ვერცხლის მედალოსანია.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ირმა ნადირაშვილს!
ლევან მარტყოფლიშვილს!

გილოცავთ თქვენი შვილის – ბარბარეს ოქროს დაბადების დღეს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენთან ერთად. ისეთი წარმატებული ყოფილიყოს მისი ცხოვრება, რომ გაეხარებინოს ყველას გულები.

უფლის წყალობა და მადლი არ მოჰკლებოდეს მის ცხოვრებას.

დიდი სიყვარულით
სოსო და ნიაზი ჯანაშვილები.

გიორგი შაინიძეს!

ჩვენო კარგო გიორგი, გილოცავთ საქართველოს ოცდამეოთხე ჩემპიონატის კიკბოქსინგის შეჯიბრში I ადგილის და საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი). გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალ წარმატებას შენს კარიერაში. გვეამაყება, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს და სწავლობს ბიჭი, რომელიც უკვე ჩემპიონია. გვიყვარხარ. შენგან კიდევ ბევრ სიხარულს ველოდებით!

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის IV^ა კლასის მოსწავლეები, **კლასის დამრიგებელი** ნელი შოშიაშვილი, **დირექტორი** ეთერ ოთარაშვილი.

კონკურსის შედეგები

HEKS EPER

ევროკავშირის დაფინანსებით მოქმედი, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) პროექტი „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“ (PROCEED) მიერ,ამა წლის 9 ნოემბერს გამოცხადდა კონკურსი ლოგოს დიზაინის შექმნაზე. ლოგო უნდა შექმნილიყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში მომუშავე ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფისთვის (LAG).

წარდგენის ბოლო ვადა იყო: 20 ნოემბერი, 2017, 18:00 სთ-მდე.

სიამოვნებით გიზიარებთ ინფორმაციას კონკურსში გამარჯვებული მონაწილეების შესახებ:

კონკურსში გამარჯვებული:

I ადგილის მფლობელი – ნინო ბახუტაშვილისა და ნინო სეთურიძის ერთობლივი ნამუშევარი. (დედოფლისწყარო)

II ადგილის მფლობელი - პაპუნა პაპუაშვილის ნაშრომი (დედოფლისწყარო)

III ადგილის მფლობელი - ირაკლი პოპიაშვილის ნაშრომი (დედოფლისწყარო)

გამარჯვებულებს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, დაჯილდოების მიზნით, დაუკავშირდება ამა წლის 25 დეკემბრამდე.

ელკანა ELKANA

ყველა

8	4	2	9	7	5	3	6	1
7	1	5	8	6	3	4		
3			2	4			5	
		7	3	9	8	6		
	8	1	7				9	3
9		3		1				7
	3		1	8	2		7	4
		8		5	9			
1						2		5

6	7	8	5	4	3	2	1	9
2	4	1		9				
9	3	5	2	1	8	7	6	4
	5	6	8	7			4	
4			1	6		3	7	
					4	6		8
7		3			5	9		
5	1	2				4	8	7
8								

		2	8	9	1		6	4
6			4	5	7	1	2	
		1	3	6	2	8	5	9
2	5		9	4			7	
3		4				5	9	8
		6	7	8			4	
8			6	3	4		1	7
		3				2	8	6
9		7	1				3	

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.12	სამშაბათი 12.12	ოთხშაბათი 13.12	ხუთშაბათი 14.12	პარასკევი 15.12	შაბათი 16.12	კვირა 17.12
დღე	6 °	4 °	3 °	1 °	1 °	1 °	1 °
ღამე	2 °	1 °	1 °	-2 °	-2 °	-1 °	0 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.